პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 228 (19669) ◆ პარასკევი, 3 ოქტომბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

„ჩვენ ვლაპარაკობთ მთავარზე“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაძაბული სამუშაო რიტმით დაიწყო 2 ოქტომბერს მწერალთა საერთაშორისო კონფერენციის პირველი სხდომა, რომელიც განიხილავს თემას „მსოფლიო ცივილიზაციის ბედი სოციალისტურ ლიტერატურებში“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ თვალსაჩინო მწერლები, მეცნიერები, მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ოსტატები, საზღვარგარეთელი სტუმრები.

კონფერენციის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, პ. გ. გილაშვილი, ო. გ. ვარძელაშვილი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, თ. ი. მოსაშვილი.

მწერალთა ფორუმი გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. შ. ციციშვილმა, რომელმაც კერძოდ, თქვა:

— ჩვენ, კულტურის მოღვაწენი, ამ დარბაზში შეგვკრიბა ჩვენმა გულწრფელმა, შეუნელებელმა, აქტიურმა ზრუნვამ კაცობრიობის, მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაციის ბედისათვის. კონფერენციის მიზანია კიდევ უფრო შეამჭიდროვოს სოციალისტური თანამეგობრობის მხატვრული სიტყვის ოსტატთა რიგები, ხელი შეუწყოს საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებას, განავითაროს ჰელსინკის სულისკვეთება და გააფართოოს კონტაქტები ქვეყნებსა და ხალხებს შორის. სოციალისტური ლიტერატურები ამ ეტაპზე — ის წყალუხვი მაგისტრალური არხია, რომელსაც მსოფლიოს საზოგადოებრიობის უფართოეს წრეებამდე მიაქვს ცხოველმყოფელი იდეები. ამ ლიტერატურათა წარმომადგენლები მარტო ხელოვნები კი არა, პლანეტის ყველა ხალხის ბედნიერებისათვის, ჰუმანიზმისა და დემოკრატიისათვის, მსოფლიო ცივილიზაციის აყვავებისათვის გაბედული მებრძოლებიც არიან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს მივესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია. მან გამოთქვა რწმენა, რომ თბილისის შეხვედრა ღირსეულ წვლილს შეიტანს ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ და მსოფლიო ცივილიზაციის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ამ დღეს ფორუმის მთავარი ტრიბუნა დაეთმო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ პ. ნ. ტოპერს (სსრ კავშირი), გაზეთ „იზვესტიის“ საერთაშორისო მიმმხილველს, მწერალ მ. გ. სტურუას, გერმან-

(დასასრული მე-3 გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

2 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა მიიღო სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნები და სხვა მწერლები, რომლებიც მონაწილეობენ თბილისის საერთაშორისო კონფერენციაში „მსოფლიო ცივილიზაციის ბედი სოციალისტურ ლიტერატურებში“.

შეხვედრაზე საფუძვლიანი სჯა-ბაასი გაიმართა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს ლიტერატურას ხალხებისა და მთელი ცივილიზაციის ბედისათვის. ითქვა, რომ თანამედროვე მსოფლიოში, როცა გასაკვირვებთ მწვავედ დგას ბირთვული საფრთხისაგან ხალხების ხსნის საკითხები, მწერალთა ხმას უდიდესი ზემოქმედებითი ძალა აქვს. ამ თვალსაზრისით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ლიტერატურთა ახლანდელ შეხვედრას, რომლებიც თავიანთი ნაწარმოებებით ამკვიდრებენ ჰუმანიზმს, სიკეთეს, პატიოსნებას, პატრიოტიზმს, ინტერნაციონალიზმს, მტრობის, სიძულვილის, ომის გაჩაღებისა და მმათმკვლელი ომის მიმართ შეურიგებლობის გრძნობას.

შეხვედრაზე დიდი ყურადღება დაეთმო მომე ლიტერატურების ურთიერთობას, კერძოდ, რუსული და ქართული ლიტერატურების ურთიერთობას, რომელსაც ღრმა ფესვები აქვს და რუსი და ქართველი კლასიკოსების სახელებითაა დამშვენებული. გამოითქვა სურვილი, საფუძველი ჩაეყაროს საბჭოთა მწერლების შეხვედრებს საქართველოში, კერძოდ წინანდალში, სადაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ალექსანდრე გრიბოედოვი და ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომლის სალონი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ორი მომე ხალხის გამოჩენილი შვილების ლიტერატურული შეხვედრებისა და საუბრების ერთგვარი კულტურული ცენტრი გახდა.

სტუმრებს გააცნეს, თუ რა საქმიანობას ეწევა საქართველოს პარტიული ორგანიზაცია იმისათვის, რომ განახორციელოს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებები, მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, უამბეს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ხორციელდება რესპუბლიკაში საქმიანობის გარდაქმნის, მისი სახალხო მეურნეობის, ეკონომიკისა და კულტურის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის.

დასასრულ სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას იმ დიდი ყურადღებისა და მზრუნველობის გამო, რომელსაც იგი იჩენს ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის, რესპუბლიკის დედაქალაქში ისეთი წარმომადგენლობითი ფორუმის მოწყობისათვის, როგორიც არის საერთაშორისო კონფერენცია, თანამედროვე ცივილიზაციის უმნიშვნელოვანეს საკითხებს რომ იხილავს. (სპეცინფორმი).

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

2 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა მიიღო სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნები და სხვა მწერლები, რომლებიც მონაწილეობენ თბილისის საერთაშორისო კონფერენციაში „მსოფლიო ცივილიზაციის ბედი სოციალისტურ ლიტერატურებში“.

შეხვედრაზე საფუძვლიანი სჯა-ბაასი გაიმართა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს ლიტერატურას ხალხებისა და მთელი ცივილიზაციის ბედისათვის. ითქვა, რომ თანამედროვე მსოფლიოში, როცა გასაკვირვებთ მწვავედ დგას ბირთვული საფრთხისაგან ხალხების ხსნის საკითხები, მწერალთა ხმას უდიდესი ზემოქმედებითი ძალა აქვს. ამ თვალსაზრისით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ლიტერატურთა ახლანდელ შეხვედრას, რომლებიც თავიანთი ნაწარმოებებით ამკვიდრებენ ჰუმანიზმს, სიკეთეს, პატიოსნებას, პატრიოტიზმს, ინტერნაციონალიზმს, მტრობის, სიძულვილის, ომის გაჩაღებისა და მმათმკვლელი ომის მიმართ შეურიგებლობის გრძნობას.

შეხვედრაზე დიდი ყურადღება დაეთმო მომე ლიტერატურების ურთიერთობას, კერძოდ, რუსული და ქართული ლიტერატურების ურთიერთობას, რომელსაც ღრმა ფესვები აქვს და რუსი და ქართველი კლასიკოსების სახელებითაა დამშვენებული. გამოითქვა სურვილი, საფუძველი ჩაეყაროს საბჭოთა მწერლების შეხვედრებს საქართველოში, კერძოდ წინანდალში, სადაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ალექსანდრე გრიბოედოვი და ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომლის სალონი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ორი მომე ხალხის გამოჩენილი შვილების ლიტერატურული შეხვედრებისა და საუბრების ერთგვარი კულტურული ცენტრი გახდა.

სტუმრებს გააცნეს, თუ რა საქმიანობას ეწევა საქართველოს პარტიული ორგანიზაცია იმისათვის, რომ განახორციელოს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებები, მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, უამბეს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ხორციელდება რესპუბლიკაში საქმიანობის გარდაქმნის, მისი სახალხო მეურნეობის, ეკონომიკისა და კულტურის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის.

დასასრულ სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას იმ დიდი ყურადღებისა და მზრუნველობის გამო, რომელსაც იგი იჩენს ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის, რესპუბლიკის დედაქალაქში ისეთი წარმომადგენლობითი ფორუმის მოწყობისათვის, როგორიც არის საერთაშორისო კონფერენცია, თანამედროვე ცივილიზაციის უმნიშვნელოვანეს საკითხებს რომ იხილავს. (სპეცინფორმი).

ფიზიოლოგიის ინსტიტუტი ნახევარი საუკუნისაა

50 წელი შეუსრულდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტს. გამოჩენილი ფიზიოლოგის აკადემიკოს იოანე ბერიტაშვილის ინიციატივით შექმნილი ინსტიტუტი გახდა ნეირობიოლოგიის ფუნდამენტურ პრობლემათა კვლევის ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო ცენტრი ქვეყანაში, დაიმსახურა საერთაშორისო აღიარება თავის წვლილით ნეიროფიზიოლოგიის განვითარებაში. სპეციალისტთა აზრით, ნერვ-კუნთის აპარატის, ზურგისა და თავის ტვინის მოქმედების პრინციპებისადმი მიძღვნილმა კვლევის უმნიშვნელოვანესმა შედეგებმა დროის გამოცდას გაუძლო. ისინი მნიშვნელოვანი რგოლია იმ ფაქტებისა და კონცეფციების სისტემაში, რომლებიც შეადგენენ ნერვული სისტემის ფიზიოლოგიის თანამედროვე მეცნიერების ფუნდამენტს. ინსტიტუტის „პროდუქცია“ არსებითი წვლილია მატერიალური მსოფლმხედველობის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო საფუძვლების განვითარებაში.

ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ნახევარი საუკუნის იუბილეს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, პ. გ. გილაშვილი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, საბჭოთა და უცხოელი მეცნიერები და სპეციალისტები, ნეირობიოლოგიის თანამედროვე პრობლემებისადმი მიძღვნილი საკავშირო კონფერენციის მონაწილენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა ინსტიტუტის იუბილეს მმმწყობი რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. ა. ჩხეიძემ, რომელმაც აღნიშნა ინსტიტუტის კოლექტივის დიდი წვლილი ფიზიოლოგიის მეცნიერების განვითარებაში, სამეცნიერო კადრების მომზადებაში.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ფიზიოლოგიის ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა მისმა დირექტორმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა მ. მ. ხანანაშვილმა.

ინსტიტუტის კოლექტივს ღირსშესანიშნავი თარიღი გულთბილად მიულოცეს თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერებმა, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა სტუმრებმა.

შეეხნენ რა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დიდ სამეცნიერო ავტორიტეტს, ორატორებმა აღნიშნეს, რომ იგი არის მეთაური ინსტიტუტი ქვეყანაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საკავშირო პროგრამების სამი მიმართულებით, კოორდინაციას უწევს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების გამოკვლევებს. „ინტერტვინისა“ და „ინტერვიციერის“ პროგრამათა ფარგლებში. ქართველი ფიზიოლოგები არჩეული არიან ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის, ამერიკის ბიოლოგიური ფსიქიატრიის საზოგადოების, უნგრეთის ფიზიოლოგთა საზოგადოების, მიკროსკოპიის სამეფო საზოგადოების (ინგლისი), იხდოეთის იოგის აკადემიისა და სხვათა წევრებად. ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს ორასამდე მონოგრაფია და ნაშრომთა კრებული, რომელთაგან ბევრი საზღვარგარეთ არის გამოცემული.

უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაფმტკიცდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის კავშირი გამოყენებითი პროფილის დაწესებულებებთან. ამან ხელი შეუწყო კლინიკებში ნერვული და ფსიქიკური დაავადებების დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის სრულყოფის მთელი რიგი პრაქტიკული რეკომენდაციების შექმნასა და დანერგვას, შეიმუშავა შეჯიბრების დროს სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მდგრადობის ამაღლების მეთოდები და ა. შ.

იუბილეს დღეებში ინსტიტუტმა ახალმოსახლეობა იდღესასწაულა: საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი 14-სართულიანი კორპუსი. აქ, 6 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე განლაგებულია უახლესი საბჭოური და საზღვარგარეთული მოწყობილობით აღჭურვილი მრავალი ლაბორატორია.

(სპეცინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მიიღო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დელეგაცია

1 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ კრემლში მიიღო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პარტიის გამგეობის წევრი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე ფოლკერ ჰაუფი.

დელეგაციაში შედიან ბუნდესტაგის დეპუტატები და პარტიის ექსპერტები, რომლებიც ეკონომიკისა და ეკოლოგიის საკითხებზე მუშაობენ. დელეგაცია საბჭოთა კავშირში იმყოფება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

ა. ა. გრომიკო მიესალმა დასავლეთ გერმანიის უდიდესი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს და აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აზრთა გაზიარებას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს შორის ფართო წრის საკითხებზე ხალხთა და სახელმწიფოთა ნდობისა და ურთიერთგაგების საძირკვლის განმტკიცებისათვის. ამ დროს უნდა ვხელმძღვანელობდეთ იმით, რომ თანამედროვეობის ვერც ერთ გლობალურ პრობლემას ვერ გადაწყვეტს რომელიმე ერთი სახელმწიფო. მით უმეტეს ეს ეხება მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემას.

ევროპაში ნდობის, უშიშროებისა და განიარაღების განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ სტოკჰოლმში დამთავრებული კონფერენციის შედეგებმა ცხადყო, რომ მხოლოდ ყველა მონაწილე სახელმწიფოს საერთო პასუხისმგებლობის გაგება მოიტანს ურთიერთმისაღებ შედეგებს.

ორივე მხარეს ერთი აზრი ჰქონდა იმ საკითხზე, რომ მორიგება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის რეიკიავიკის უმაღლესი დონის რიგგარეშე შეხვედრის შესახებ დადებინშვნელოვანი ნაბიჯია, რომელსაც მთელი მსოფლიო მიესალმება. ხალხს სურთ, რომ ეს შეხვედრა დამთავრდეს დადებითი შედეგებით, რომლებიც შეესაბამება მშვიდობის ინტერესებს.

საბჭოთა ინიციატივები საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე კარგად არის ცნობილი. ისინი ერთხელ კიდევ ახალი ძალით გაისმა ბიერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 41-ე სესიის ტრიბუნიდან.

შეეხო რა საბჭოთა კავშირის საშინაო-პოლიტიკურ განვითარებას, ა. ა. გრომიკომ დაახასიათა გარდაქმნის პროცესი, რომელმაც მოიცვა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფერო, მათ შორის საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამჟამად დაისახა ისეთი სოლიდური ეკონომიკური პარტნიორთან თანამშრომლობის გაფართოების ახალი შესაძლებლობანი, როგორიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა თავის მხრივ ხაზგასმით აღინიშნეს, რომ მშვიდობისა და უშიშროების საკითხები, მათი პარტიების აზრით, პრიორიტეტულია. სწორედ ეს დაადასტურა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნიურნბერგის ყრილობამ, რომელიც ამა წლის აგვისტოში გაიმართა.

ორივე მხარემ აღნიშნა, რომ ერთმანეთის უახლოვდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიდგომა ბირთვული ომის თავიდან აცილების პრობლემის მრავალი ასპექტისადმი. ეს ეხება ბირთვული გამოცდების შეწყვეტის, კოსმოსში გამალებული ბირთვული შეიარაღების დაუშვებლობის, ქიმიური შეიარაღების აკრძალვის აუცილებლობას და მთელ რიგ სხვა საკითხებს.

აზორციელებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან აზრთა ინტენსიურ გაზიარებას განიარაღების საკითხებზე, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათი პარტია დაინტერესებულია ეს დიალოგი გავრცელდეს სხვა დარგებშიც, მაგალითად, ეკონომიკასა და ეკოლოგიაში.

საუბარმა გულახდილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(სპეცდესკი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობა. აღინიშნა, რომ საანგარიშო-საარჩევნო კამპანია მთლიანად ორგანიზებულად, საქმიან ვითარებაში, კომუნისტების გაზრდილი აქტიურობის პირობებში მიმდინარეობს. პარტიული კრებების ყურადღების ცენტრშია წარმოების ინტენსიფიკაციის, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის შრომითი კოლექტივების დარაზმის საკვანძო პრობლემები. მიღებული გადაწყვეტილებანი მოწმობს, რომ პარტიის XXVII ყრილობის პოლიტიკურ გეზს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის მითითებებს აქტიურად უჭერენ მხარს და იწონებენ რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი.

ამასთან ანგარიშგება-არჩევნები ცხადყოფს, რომ პარტიული მუშაობის გარდაქმნა ჯერჯერობით ნელა მიმდინარეობს. ყველგან როდია დაძლეული ისეთი ძველი მიდგომა, როგორიცაა მეტისმეტი ორგანიზებულობა, ქაღალდმთხზველობა, სიტყვისა და საქმის გათიშვა. ზოგიერთი პირველადი ორგანიზაციის მუშაობის მეთოდებს კვლავ ახასიათებს დეკლარაციულობა, არაკონკრეტულობა. მთელ რიგ შემთხვევებში კრებები მიმდინარეობს კომუნისტების ნაკლები აქტიურობის პირობებში, მიღწეული შედეგების შელამაზების ვითარებაში, კონსტრუქციული, ზუსტი მისამართის მქონე კრიტიკის, ნაკლოვანებათა მიზეზების გამოვლენის, მათი აღმოფხვრის გზების მითითების გარეშე.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაეკალთ ბიუროებზე განხილონ ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობა, განახორციელონ ღონისძიებანი, რათა ყოველი კრება მოეწყოს მაღალ ორგანიზაციულ, იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის, კოლეტივებში საქმის მდგომარეობის გულახდილი განხილვის, საკუთარი თავისადმი კომუნისტების გადიდებული მომთხოვნელობის ვითარებაში.

განიხილა რა სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების საქმეში კოლეიურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების, პარტიული ორგანიზაციებისა და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის გადიდებისათვის პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მუშაობის საკითხი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს იგი არასაკმარისად ცნო. საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტს, ავტონომიური ოლქის პარტიის რაიკომებს, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს წინადადება მიეცათ განახორციელონ ამმწყობრივი ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრან ნაკლოვანებები და ხარვეზები შრომითი რესურსების გამოყენების საქმეში, ძირფესვიანად გარდაქმნან მუშაობა ამ მიმართულებით, გაზარდონ აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა პირველადი პარტორგანიზაციების მდივანთა როლი და პასუხისმგებლობა შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა სკკპ წევრის, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზსესაწყოს“ დირექტორის ზ. ყურაშვილის ინფორმაცია 1987 წლის 1 იანვრიდან მეურნეობრიობის ახალი პირობებით მუშაობისათვის გაერთიანების მზადების შესახებ. აღინშნა რა გაწეული მუშაობა, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ხაზი გაუსვა, რომ იგი უნდა წარმოებდეს უფრო მასშტაბურად და გაერთიანების ადმინისტრაციას, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მოსთხოვა ყოველმხრივ ვაკაქტიურონ მზადება მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვას, მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებას, პროდუქციის სახელმწიფო მიღებას, ფინანსურ-ეკონომიკური ქვეგანაყოფების მუშაობის ეფექტიანობის გადიდებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა ტრესტის უაღრესად არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. იმისათვის, რომ ვერ უზრუნველყო ჯეროვანი ხელმძღვანელობა, სისტემატურად ვერ ასრულებდა საგეგმო დავალებებს, უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა სახანაო მშენებლობის გეგმების რეალიზაციასა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხს, ტრესტის მმართველი მ. ანანიაშვილი განთავისუფლებულია თანამშდებობიდან და გარიცხულია სკკპ რიგებიდან.

მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი „მსუბუქ მრეწველობაში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დაგეგმვის, ეკონომიკური სტიმულირების გაუმჯობესებისა და მართვის სრულყოფის თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ, აგრეთვე პროდუქციისა და საქონლის მიწოდების ხელშეკრულებათა შესრულებისათვის გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

სამი შეკითხვა ჩამორჩენილი უბნის ხელმძღვანელს

ისევ უიმედობა!

ბოლო წლებში რესპუბლიკის მრეწველობის საქმის უკან ეწევა რუსთავის თუჯსამსხმელო ქარხანა. მან ჩამორჩენილთა რიგებში დაიმკვიდრა ადგილი და, როგორც ჩანს, — დიდი ხნით.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ლ. კინაძლაძე შეხვდა თუჯსამსხმელო ქარხნის დირექტორს ვ. მოსიაშვილს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა:

— რატომ ჩამორჩა საწარმო?

— დავიწყებ იმით, რომ მიმდინარე წლის რვა თვეში მომხმარებელს დავაკელით ორი მილიონ 11 ათასი მანეთის ნაწარმი, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა მხოლოდ 96,2 პროცენტით შესრულდა. დავაღალატეთ არცთუ ცოტა მომხმარებელი.

ასეთი მდგომარეობის მიზეზი მრავალია. ერთ-ერთი ის არის, რომ მორალურად და ფიზიკურად მოძველებული დანადგარები ვერ იძლევიან სასურველ შედეგს. თანაბრად არ არის დატვირთული სამსხმელო უბნები. ხუთი ასეთი უბნიდან სამი მაქსიმალურად არის დატვირთული და ეს ჯერჯერობით „ვიწრო“ ადგილად რჩება. საერთოდ, ქარხანაში ნაკლები ყურადღება ექცეოდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვას, ტექნოლოგიური ციკლების სრულყოფას, საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია-მექანიზაციას, საქმე თვითდინებაზე იყო მიშვებული.

— რას ღონობთ რთული სიტუაციიდან თავის დასაღწევად, ხორციელდება თუ არა კონკრეტული ღონისძიებანი წინსვლისათვის?

— სირთულეთა დასაძლევად, უწინარეს ყოვლისა საჭიროა მთელი კოლექტივის მობილიზება, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერება, ავანგარდული როლი ამ საქმეში კომუნისტებმა უნდა იკისონონ. აუცილებელია საწარმოში მოვიზიდოთ საქმის მცოდნე სპეციალისტები, კვალიფიციური მუშები, რომლებიც გულთან მიიტანენ ქარხნის გასაჭირს. ეს, ცხადია, ადვილი არ არის, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ. საქმე ის არის, რომ სამუშაოდ მოსული ახალგაზრდები მალე ტოვებენ საწარმოს და ამას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი მიზეზები. ვერ შეინარჩუნებ კადრებს, თუ მათზე არ ზრუნავ, არ უქმნი სათანადო შრომისა და ცხოვრების პირობებს. ეს ერთ-ერთი უმთავრესი გადასაჭრელი პრობლემაა.

უახლოეს ხანში მნიშვნელოვნად გავზრდით მსხვილგაბარიტიანი და მცირეგაბარიტიანი სხმულების გამოშვებას. მომავალი წლიდან ამოქმედდება თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი თუჯსამსხმელო ახალი საამქრო. ვაშენებთ სილიკატური ნატეხების საამქროს თხევადი მინის წარმოებისათვის. წარმოების ამ უბანზე, რომელიც 1988 წელს ჩადგება მწყობრში, ათი მილიონი მანეთის პროდუქციას დავამზადებთ.

— როდემდის გაგრძელდება ჩამორჩენა, როგორ გაქვთ წარმოდგენილი კოლექტივის ახლო მომავალი?

— მომდინარე წლის დამლევამდე, ალბათ, ჩამორჩენას ვერ დავძლევთ, წლების მანძილზე მიშვებული ქარხნის მოწინავეთა რიგებში ჩაყენება ვერ მოხერხდება. საქმისადმი უსულგულო, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ, უდისციპლინობამ, უყაირათობამ ღრმა კვალი დაჩნია საწარმოს. ხუთწლეული დამლევამდე კი მდგომარეობა რადიკალურად შეიცვლება. წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად გადიდდება, განხორციელდება წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. წინა პლანზე წამოიწევთ სოციალური საკითხების მოგვარებას, შეავიცდებით ახალგაზრდობას დიდნაყოფიერი შრომის ყველა პირობა შეუქმნათ.

რედაქციისაგან: ვ. მოსიაშვილი დიდი ხანი არ არის, რაც დაინიშნა ქარხნის დირექტორად, და ამით იგი ჩვენს კორესპონდენტთან საუბრისას „ხელსაყრელ“ პირობებში აღმოჩნდა. მან ყურადღება გაამახვილა მძიმე მემკვიდრეობაზე, ასე თუ ისე შეეხო პერსპექტიულ გეგმებს, მაგრამ მომავლის ნათელი სურათი ვერ დაგვიხატა. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ წლევანდელი სახელმწიფო გეგმების შეუსრულებლობა აქ „დაგეგმილი“ აქვთ. მდგომარეობის ობიექტიური გამოსწორების საკითხს იგი არ შეხებია. აქაც, ისევე როგორც ფოთის ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხანაში, უიმედობას გაუდგამს ფესვები.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას ეწვევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. რიჟკოვი პოლონეთს ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ეწვევა ამა წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში.

ამ ბოლო ხანს თბილისის პატონის სახელობის ელექტროსახადგურის მოწყობილობის ქარხანაში მრავალი ნიახლე დანერგა. შესადუღებელ ელექტრომოწყობილობათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალის თანამშრომლებთან ერთად შემუშავდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

ქარხნის საცალო საამქროში დამონტაჟდა ტექნოლოგიური ხაზი. დამამზადებელ საამქროში ახლა მძიმე და შრომატევად ოპერაციებს რობოტ-მანიპულატორები ასრულებენ. შეიქმნა პროგრამული ჩარხების სპეციალური უბანი. კონვეიერული ხაზი სამღებრო საამქროშიც დაიდგა.

სხვა ფაქტორებთან ერთად ამანაც განაპირობა ის, რომ წლის დამდეგიდან აქ გეგმის გადამეტებით 170 ათასი მანეთის პროდუქცია დამზადდა. საპატიო ხუთკუთხედიდ აღნიშნული პროდუქციის წილმა

ვიქოთ უფრო ახლოს სადღეისო მოთხოვნებთან

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეების საკავშირო თათბირი

ამხანაგ ი. კ. ლიგაჩოვის მოხსენების გამო დაიწყო კამათი.

გარდაქმნამ უნდა მოიცვას მთელი ის მძლავრი პოტენციალი, რომელიც შეიქმნა უმაღლეს სკოლაში, და ნამდვილი ასპარეზი მისცეს შემოქმედების, იმ პრაქტიკული პრობლემების უფრო ენერგიულ გადაჭრას, პარტიამ რომ დაგვისახა, თქვა ვორონეჟის უნივერსიტეტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგემ **ვ. ს. რახმანინმა.** სწორედ ამაზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება მისი რეალური სოციალური ეფექტი.

ორატორმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ პედაგოგიური აზროვნება უნდა გარდაქმნას ლენინური სიმართლის პრინციპებზე. მისმა დეფიციტმა ერთხანს გავლენა მოახდინა მეცნიერულ კვლევაზე, რომელიც უგულვებელყოფდა ბევრ მწვავე პრობლემას, გვერდს უვლიდა ცხოვრების ნეგატიურ მოვლენებს. ორატორმა დიდი ყურადღება დაუთმო მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის გაძლიერებას, საზოგადოებათმცოდნეობა მონაწილეობას კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური და იდეურ-აღმზრდელობითით ამოცანების გადაწყვეტაში.

პარტიის საოლქო კომიტეტს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაკები სამართლიანად მიაჩნია იდეოლოგიური ფრონტის ყველაზე მომზადებულ და აქტიურ მებრძოლებად, სამიედო თანაშემწეებად ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შესწავლაში, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, ხაზგასმით აღნიშნა სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ვ. პეტროვმა.** მან თქვა, რომ პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ საოლქო კომიტეტმა ოლქის მშრომელებს მიმართა აწეკეთო, რომელიც შეიცავდა ორ კითხვას: „როგორია, თქვენი აზრით, დაჩქარების რეზერვები?“ და „რა მიგაჩნიათ თქვენს პირად წვლილად გარდაქმნაში?“. თვეზე ნაკლებ დროში, ხაზი გაუსვა მან, მივიღეთ 25 ათასი წერილი — საოლქო კომიტეტის თითქმის სამი წლის ფოსტა. პარტიული მუშაკებისა და საზოგადოებათმცოდნე მეცნიერთა მიერ მისმა ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოგვეკვლინა ჩვენი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ყველზე ნიშანდობლივი ნაკლოვანებანი. პარტიულმა კომიტეტებმა შეასწორეს პერსპექტიული გეგმები, მიიღეს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი. ახლა საზოგადოებათმცოდნეებს უამრავი საყურადღებო მასალა აქვთ.

ორატორმა მოიყვანა იმის მაგალითები, თუ რაოდენ ფართოდ ჩაებნენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაკები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალურ საკითხთა შემუშავებაში. მან თქვა, რომ სამ ხუთწლიდან მეტ ხანს ცდილობდა მოქალაქეობის უფლების მოპოვებას ჩრდილოელ მეტალურგთა მოძრაობა „შრომისა და საზოგადოებრივ დისციპლინას — კოლექტივის გარანტია“. დღეს რომ იგი აღიარებულია, ხაზი გაუსვა ორატორმა, ეს არის მეტალურგთა და მეცნიერთა კოლექტივის სიბრძნის შედეგი. პარტიის საოლქო კომიტეტი კვლავაც მხარს დაუჭერს მეცნიერებს ახლისათვის, უძრაობისა და კონსერვატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგემ **გ. ს. არაფიევამ** თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიური მუშაობის პრაქტიკა ჯერჯერობით არათუ არ უწყობს ხელს შემოქმედებითი ინდივიდუალობის განვითარებას, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში ამუხრუჭებს კიდეც დამოუკიდებლად მოაზროვნე პედაგოგის ჩამოყალიბებას. ამის მიზეზია, უწინარეს ყოვლისა, მუშაობის ფორმალურად ბიუროკრატიული მეთოდები, რომლებიც წარმოშვა ცხოვრებისაგან, მისი რეალური პრობლემებისაგან თეორიის მოწყვეტამ. ეს შედეგად მოჰყვა სიტყვისა და საქმის გათიშვას, რომლის არსიც გამოვლინდა პარტიის XXVII ყრილობაზე.

ყრილობამ გზა გაუკაფა მტკიცე და დროულ გარდაქმნებს ჩვენს საზოგადოებაში. ზოგიერთი იმედისმომცემი ცვლილებები ხდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საქმიანობაშიც: გაუქმდა მთლიანად ფორმალური სასწავლო-მეთოდიკური კომპლექსები, უფრო ყურადღებით და ინტერესით სწავლობენ კათედრების გამოცდილებას, მასწავლებლთა წინადადებებს. და მაინც ფორმალიზმი ჯერ კიდევ არ არის დაძლეული. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ სწავლების შინაარსი უნდა გარდაექმნას ყრილობის მიერ დასახული მიმართულებით — თანამედროვე სოციალური პრაქტიკის აქტუალურ პრობლემათა გაშუქების მიმართულებით.

დაჩქარების სტრატეგიის თეორია და პრაქტიკა, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნა, სოციალური პოლიტიკის, დემოკრატიისა და თვითმმართველობის საკითხები, ადამიანის ფაქტორის როლი და მნიშვნელობა, თანამედროვე მსოფლიოს ტენდენციები და წინააღმდეგობანი — ან ის პრობლემები, რომლებიც საფუძვლად ედება ახლა ჟურნალ „კომუნისტის“ საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით ამ ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა **ი. ტ. ფროლოვმა** ხაზი გაუსვა, რომ „ჟურნალ „კომუნისტის“ შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციის ღონისძიებათა კომპლექსურ გეგმას რომ ამუშავებს, რედაქცია კრიტიკულად გადასინჯავს მუშაობის იმ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც არ გამოდგა, ამასთან ორიენტირად ისახავს პირდაპირ და ოპერატიულ კავშირს შრომითს, მეცნიერულ, შემოქმედებითს კოლექტივებთან, მკითხველებთან. და აქ, თქვა ორატორმა, ჩვენ უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების ფართო მონაწილეობის იმედი გვაქვს. ჩვენ მეტი ყურადღებით განვიხილავთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების პრობლემებსაც. პარტიასა და საზოგადოებას, ხაზი გაუსვა მან, უაღრესად სჭირდებათ დაჩქარებასთან, ჩვენი ცხოვრების გარდაქმნასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის სხვადასხვა გარიანტის კვლევა. ამ საკითხების განხილვა დაიწყო ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

შემდეგ ორატორმა აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა დისკუსიები მოეწყოს სულ უფრო ფართო დემოკრატიისა და საჯაროობის პირობებში. დისკუსიის სწორი წარმართვის უნარი, ხაზი გაუსვა მან, მოითხოვს დიდ კულტურას, ინტელექტუალურ აქტიურობასა და პასუხისმგებლობას.

თათბირის მონაწილეთა გამოსვლებში აღიძრა უმაღლესი სკოლის გარდაქმნისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებისა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების სრულყოფის საკითხები, იმსჯელეს ახალგაზრდობის მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, მისთვის აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის ჩანერგვის, პრაქტიკასთან სწავლის პროცესის კავშირის განმტკიცების გზებზე.

თათბირი მუშაობას განაგრძობს. (სპუტნიკი).

პარტიული ცხოვრება:

გარდაქმნის ფაქტორები და შედეგები

არცთუ ისე დიდი დრო გავიდა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის შემდეგ, მაგრამ რესპუბლიკის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებაში აშკარად იგრძნობა გარდაქმნის მაჯისცემა, გარდაქმნისადმი სწრაფვა. ეს კი ნათლად მოწმობს, რომ ყრილობათა იდეები ღრმად ეჭრება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუმცა ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომელთაც თუმცა სიტყვა „გარდაქმნა“ პირზე აკერიათ, მაგრამ თითს თითზეც კი არ აკარებენ მისი განხორციელებისათვის.

საბჭოთა ცხოვრების წესის განმტკიცება, სახელმწიფო, შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება, ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის დაძლევა და სხვა გადაუდებელი საკითხები პარტიული ორგანოების წინაშე სვამს მეტად პასუხსაგებ ამოცანებს, რომ გააააქტიურონ მთელი საზოგადოების საქმიანობა.

გარდაქმნის ორგანიზაციის საქმეში პარტიის როლის გაძლიერება შეუძლებელია პარტიის ერთიანობის განმტკიცების, შინაპარტიული დისციპლინის, როგორც სახელმწიფო, შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინის წინამძღვრის გარეშე. და აქ დიდი როლი ეკისრებათ რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანოებიის სარევიზიო კომისიებს. ისინი პარტიულ ორგანებში ვალაულურს ადევნებენ საქმის წარმოებას, სისტემატურად ამოწმებენ პარტიის წევრების მიერ საწევრო შესატანის სისწორესა და მისი გადახდის დროულობას, პარტიული ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობას, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში მოქალაქეთა წერილებისა და საჩივრების თავისდროულად განხილვას და რეაგირებას.

პარტიულ ცხოვრებაში თანამედროვე პერიოდის ამოცანების მიხედვით, სკკპ XXVII ყრილობამ მიიღო სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ახალი დებულება, რომელიც შეესაბამება ცვლილებებს პარტიის წესდებაში, ეყრდნობა შეძენილ გამოცდილებასა და აკმაყოფილებს მუშაობის გაზრდილ მოთხოვნებს.

პარტიის რიგების ზრდის, მისი მატერიალური და ფინანსური ბაზის განმტკიცების პირობებში გაიზარდა სარევიზიო კომისიების მუშაობის მოცულობა. ამან დღის წესრიგში დააყენა მიგვეღო რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიების ახალი დებულება.

ამ დებულების მიხედვით, სხვა საკითხებთან ერთად სარევიზიო კომისიათა საქმიანობის უმნიშვნელოვანესი უბანია მშრომელთა წერილებზე, საჩივრებსა და განცხადებებზე მუშაობა.

რესპუბლიკის მშრომელები მარტო პირად საკითხებზე როდი მიმართავენ პარტიულ ორგანოებს. ისინი აწვდიან ინფორმაციას თავიანთი შრომითი კოლექტივების ცხოვრებაზე, ადგილობრივი საქმის ვითარებაზე, აცნობენ მოსახლეობის ფართო ფენების მოსაზრებებსა და შეხედულებებს, ამა თუ იმ საჭირბოროტო პრობლემას. წერილების ავტორები აკრიტიკებენ ნაკლოვანებებსა და მოშვებულობას, ეხმარებიან პარტიულ კომიტეტებს არა მარტო აღმოფხვრან მათი მიზეზები, არამედ შეიტანონ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობა, იღვაწონ ამ გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის.

საბჭოთა ადამიანები სულ უფრო მეტად ირენენ ინტერესს პარტიის საქმეებისადმი, იმ პროცესებისადმი, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებას. მათ სურთ მონაწილეობა მიიღონ ამ ბრძოლაში, შეიტანონ თავიანთი წვლილი გარდაქმნის პროცესში.

როგორც ანალიზი მოწმობს, ამ ბოლო ხანს ერთგვარად გაუმჯობესდა მუშაობა მშრომელთა წერილების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის მხრივ. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ახლა უფრო მეტ დროს უთმობენ და უფრო არსებითად არჩევენ მშრომელთა წინადადებებს და საჩივრებს. პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტმა მკაცრი პარტიული სასჯელები გამოუტანა ქალაქის აღმასკომის პასუხისმგებელ მუშაკებს, ლენინგორის, ბაკურიანის მშრომელთა კოლექტიური წერილის განხილვა და რეაგირება. ასეთი მაგალითები ბევრია. მაგრამ ამასთან ერთად სამწუხაროა, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ პარტიულ კომიტეტში მშრომელთა მიმართვებისადმი, მათი დროულად და სწორი გადაწყვეტისადმი ჯერ კიდევ არ არის დაწესებული ეფექტური კონტროლის თანამიმდევრული ნორმატიული სისტემა.

მაგალითად, მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგებით პარტიის მარნეულის რაიკომმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან კონტროლზე აყვანილი გადაგზავნილი წერილების ნახევარი დაგვიანებით განიხილა. ბოლო წლებში პარტიის მცხეთის რაიკომის ხელმძღვანელთა მუშაობის მცდარი სტილის გამო ხშირად ირღვეოდა წერილებისა და სარჩივარ-განცხადებების განხილვის ვადები. აქ ზოგიერთი წერილის ავტორმა ვერ მიაღწია პასუხის მიღებას ნახევარ წელზე მეტი ხნის მანძილზე.

მშრომელთა წერილებისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულება იწვევს წერილების ნაკადის ზრდას ზემდგომ პარტიულ ორგანოებში. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ზემდგომ ორგანოებში შემოსული წერილების რიცხვი აღემატება შარშანდელ შესაბამის პერიოდში შემოსული ანალოგიური ხასიათის კორესპონდენციების რაოდენობას. ყველაზე მეტი წერილი შემოვიდა თბილისიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან, სოხუმიდან, ასევე მარნეულის, ბოლნისის, ქობულეთის, ხელვაჩაურისა და მახარაძის რაიონებიდან.

ზემოაღნიშნული ფაქტები მოწმობს, რომ საჭიროა სარევიზიო კომისიების მუშაობის გარდაქმნა პარტიის რაიონულ კომიტეტებში მშრომელთა წერილების განხილვისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნითაც. ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და დარღვევების აღკვეთის მიზნით დამატებითი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრულ ფუნად სახსრებს მოითხოვს. სწორედ ამ მიზნისათვის არის „ანკუთვნილი პარტიული ბიუჯეტიც.

ამუშავებდა რა პროლეტარული პარტიის ორგანიზაციულ პრინციპებს, ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კომუნისტების მხრივ პარტიისადმი მატერიალური მხარდაჭერის აუცილებლობას და ეს ლენინისეული იდეა ფორმირებულია კომუნისტური პარტიის წესდებაში. იგი ავალდებულებს კომუნისტებს შეუხსენებლად შეიტანონ პარტიული საწევრო. პარტიული საწევროების დროული, დადგენილი რაოდენობით შეტანა სკკპ წევრისა და წევრობის კანდიდატისთვის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა. იგი ზემოქმედებას ახდენს კომუნისტთა აღზრდაზე, განმტკიცებს მათს ორგანიზებულობას და დისციპლინას. ამიტომ ამ საქმეში გამოჩენილ პუნქტუალურობას, სიზუსტეს არა მარტო დიდი პრაქტიკული, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს.

დადგენილი წესის შესაბამისად, პარტიის საწევრო შესატანს უნდა იღებდეს პირადად პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ან მისი მოადგილე. კი კი ნიშნავს, რომ თითოეულ კომუნისტს საშუალება ექნება რეგულარულად შეხვდეს თავის პარტიულ ხელმძღვანელს, გულახდილად ესაუბროს, გამოთქვას თავისი შენიშვნები და წინადადებები, მიიღოს რჩევა, დავალება, საჭირო დახმარება. ამასთან ერთი რამეც არის მხედველობაში მისაღები: დღევანდელ პირობებში არცთუ ისე ცოტანი არიან კომუნისტები, რომლებსაც პოლიტიკურად ესმით ახლებურად მუშაობის საჭიროება, მაგრამ არ იციან პრაქტიკულად როგორ განახორციელონ იგი. და სწორედ ასეთი კომუნისტების რეგულარული შეხვედრები და საუბრები პარტიულ ხელმძღვანელებთან დაეხმარება მათ გარდაქმნან მუშაობის სტილი და მეთოდები.

რა დასამალია, ზოგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ირღვევა საწევროების შეტანის წესი. კომუნისტთა ერთი ნაწილი ეფიზიზოდ აგვიანებს საწევროს შეტანას. ეს ერთი ... ...

უკვდავი სახება

ილია ჭავჭავაძის იკონოგრაფიისათვის

1857 წლის შემოდგომაზე ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კამერალური, განყოფილების სტუდენტი გახდა. ჩვენს სამუზეუმო სიძველეთსაცავებს შემოუნახავს ილია ჭავჭავაძის 1859-61 წლების ექვსი ფოტოსურათი, რომელთაგან ხუთი — პეტერბურგში, ხოლო ერთი თბილისში 1859 წლის ზამთარშია გადაღებული.

საქმე ის არის, რომ 1859 წლის მაისში ილია პეტერბურგში ძმის ძმეფე გამხდარა ავად და მკურნალობდა ცარსკოე სელოში. ავადმყოფობა იმდენად სერიოზული ყოფილა, რომ ექიმის მოწმობით საშობლოში გამოუშვიათ, „სამხრეთის კეთილისმყოფელი ჰავა მოუხდებაო“.

მართლაც, 1859 წლის ზაფხულში ილია რამდენიმე თვით საქართველოში დაბრუნებულა გამოსაჯანსაღებლად და აქ შემოდგომამდე დარჩენილა. სამშობლოში მყოფი ახალგაზრდა პოეტი შემოქმედებითს შრომას თავს მაინც არ ანებებს და, როგორც მისი უმცროსი და ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისა გვამცნობს, ილიას უშუალო მონაწილეობით თბილისის გიმნაზიის სცენაზე საქველმოქმედო მიზნით წარმოუდგენიათ „ძველი აღთქმისა“ და „მეფე ლირის“ ცოცხალი სურათები. წარმოდგენის გასამართავად ნებართვის მიღება თურმე ძალიან გაჭირდა.

პ. უმიკაშვილის გადმოცემით, „თბილისის საზოგადოება ცოცხალ სურათებს ინტერესით მოაწყდა და დიდის კმაყოფილებით დარჩა“, ხოლო გრ. ყიფშიძე ამის თაობაზე წერს: „ილია თვით მეფე ლირი იყო. ეტყობა, იქვე, ახალგაზრდობაში ისე ღრმად ჩასწვდენია გულში დიდებული გენიოსის მიერ შექმნილი სურათი მოხუცის მეფე ლირისა და მისის ძლიერი სულის ქარტეხილისა, რომ, 15 წლის შემდეგ მან (ივანე მაჩაბელთან ერთად) სთარგმნა კიდეც ქართულად“.

თბილისში 1859 წელს გადაღებულ ფოტოზე სწორედ „მეფე ლირის“ ცოცხალი სურათების მონაწილეები არიან წარმოდგენილი, რომელთა ვინაობის ახსნასაც გვაწვდის მისი ერთ-ერთი მონაწილე ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისა: „სხედან (მარცხნიდან): ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისა, ოპოჩინინის ქალიშვილი, მ. ჭილაშვილისა, ერისთავისა, ელენე ჩოლოყაშვილისა, ბარათაშვილისა (ამილახვრის ასული). დგანან (მეორე რიგში, მარცხნიდან): გაბო სულხანიშვილი, ოპოჩინინის ასული, სიდამონ-ერისთა ვ ი ს ა, მირსკისა (გრუზინსკის ასული), თამამშვილისა, ბარათაშვილის ქალიშვილი, ბარონ ნიკოლაის მეუღლე (სოფიო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე), ქეთო გურგენიძისა. უკანა რიგში (მარცხნიდან) ვანო თუმანიშვილი, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ჭავჭავაძე და ილია ჭავჭავაძე“.

ასევე დადგენილია პეტერბურგში გადაღებულ ..... სურათზე ილიასთან ერთად გამოსახული სტუდენტობისდროინდელი მეგობრებიც: დგანან (მარცხნიდან): კოტა (ალექსანდრე) აბხაზი და მიხეილ ჩიკვაძე. სხედან (მარცხნიდან): ლუარსაბ (შაქრო) მაღალაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილი, გიორგი ყაზბეგი. წინზის — ბელო. ამათგან კოტა აბხაზმა შემდეგში დაწერა მშვენიერი მოგონებანი ილიაზე, ხოლო ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილმა 1902 წელს რუსულად თარგმნა და თბილისში გამოსცა ილიას „ქალთა ღაღადი“. გიორგი ყაზბეგი კი ცნობილი გენერალი გახდა, რომელიც ილიას გარდაცვალების შემდეგ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს.

გურამ შარაძე.

„ᲩᲕᲔᲜ ᲕᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲗ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲖᲔ“...

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ᲘᲘᲡ დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს მანფრედ ნაუმანს, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნებს ჰ. ა. ბოროვიკსა და ი. ტ. გრიბოვს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს გ. ნ. ჯიბლაძეს, მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ა. დ. ალექსეძეს, პროფესორებს ჰორსტ ტურკუს (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და დ. ბელოკოზოვიჩს (პოლონეთი).

მათ ილაპარაკეს მთავარზე: იმაზე, რომ თანამედროვე პიროვნებაში, როცა ჰამლეტისეული ცნობილი კითხვა „ყოფნა-არყოფნა?“ ისმება უკვე არ ცალკეულ პიროვნებათა წინაშე, არამედ მთელი კაცობრიობის, მთელი პლანეტის წინაშე, ასეთ დროს ლიტერატურის როლი განსაკუთრებით იზრდება. კაცობრიობის ამ მთელი ისტორიისათვის პასუხსაგებ მომენტში სიტყვის ოსტატებმა „სიტყვით უნდა აღაგზნონ ადამიანთა გულები“, დარაზმონ ისინი თანამედროვე კანბალიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისათვის. დღეს მწერალს უფლება არა აქვს იყოს პასიური, რადგან, როგორც კუბელმა მწერალმა ალეხო კარპენტიერმა თქვა, თანამედროვე ლიტერატურას უბრალოდ ვერ შემნი, თუ პოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანი არა ხარ.

მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ბ. ბერდნიკოვის მოხსენება წაიკითხა პროფესორმა ო. ვ. ეგოროვმა, რადგან ავადმყოფობის გამო იგი სხდომაში ვერ მონაწილეობდა.

ორატორებმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მ. ს. გორბაჩოვისა და რ. რეიგანის მომავალ შეხვედრას რეიკიავიკში, შეეხნენ მწერალთა შემოქმედებითს წვლილს სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის კონსტრუქციული პროგრამის რეალიზაციაში.

კონფერენცია მუშაობას 3 ოქტომბერს დამთავრებს.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ

ᲘᲣᲠᲘ ᲕᲔᲠᲩᲘᲜᲙᲝᲕᲘ,

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი

ᲐᲡᲔᲗᲘ გრანდიოზული მასშტაბის კონფერენცია პირველად ეწყობა, და ძალზე სასიამოვნოა, რომ მისი გამართვის ინიციატივა საქართველოს მწერალთა კავშირს ეკუთვნის.

კონფერენციაზე საქმიანი სჯა-ბაასია სოციალისტური სამყაროს როლზე დღევანდელი კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარებაში, იმ გავლენაზე, რომელსაც სოციალისტური ლიტერატურა ახდენს ჩვენი პლანეტის ყოველ კუთხეში. გარდა ამისა, რა სჯობს იმას, რომ კიდევ უფრო ახლოს გავიცნობთ ერთმანეთს...

ცნობილია, თუ რა უდიდესი ამოცანები დაუსახა საბჭოთა მწერლობას სკკპ XXVII ყრილობამ, ეს ამოცანები ძირფესვიანად გაანალიზდა მწერალთა VIII საკავშირო ყრილობაზე და დაისახა ამოცანები, რომლებიც კიდევ უფრო ნაყოფიერსა და მრავალფეროვანს გახდის ჩვენს მუშაობას. მწერალთა ყრილობამ მრავალი პრობლემაც წარმოაჩინა, საერთოდ, მოსაწონი იყო მისი კრიტიკული ტონი. სწორედ მწერლობა უჭერს მხარს იმას, რომ ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება და ამ დროს საქმიანი მწერლური სიტყვაა საჭირო, რომელიც საერთო წინსვლას წაადგება. მიმაჩნია, რომ უფრო უნდა გააქტიურდეს პარტიული პუბლიცისტიკა, მეტი პრინციპულობით უნდა გამოირჩეოდეს ჩვენი ყოველი პუბლიკაცია.

ᲘᲣᲠᲘ ᲒᲠᲘᲑᲝᲕᲘ,

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის აპარატში მე საგამომცემლო საქმეები მაბარია. აბა, წარმოიდგინეთ, როგორი სფეროა... ყოველ მწერალს, რა თქმა უნდა, წიგნის გამოცემა სურს. იმას კი არავინ დაგიდევს, გამოსაცემია თუ არა. მწერალთა ყრილობაზე ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა ამ მხრივ. ვეცდებით ყოველნაირად შევუწყოთ ხელი ნიჭიერად დაწერილი წიგნების გამოცემას. ამას მთელ ჩვენს ქვეყანაში გამეფებული საქმიანი ატმოსფერო გვეკარნახებს.

სასიამოვნოა, რომ ასეთი დიდ ფორუმზე მომიწია ჩამოსვლა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მცირე ხნით დავრჩე თქვენთან, ჩავიდე რომელიმე ქართულ სოფელში და დავწერო ნარკვევი მის ყოფა-ცხოვრებაზე, ადამიანებზე, რა გამოვა, — ვნახოთ... მკითხველმა განსაჯოს...

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ: სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნები ი. ᲒᲠᲘᲑᲝᲕᲘ და ი. ᲒᲠᲘᲑᲝᲕᲘ ᲡᲣᲠᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ Გ. ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ.

Შ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲙᲘᲜᲝᲞᲝᲔᲛᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲜᲓᲖᲔ

„ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ სერგო. დიდი ცხოვრების ფურცლები“ — ასე ეწოდება საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის „მატიანის“ მიერ გადაღებულ ფილმს. კინოპუბლიცისტთა ახალი ნამუშევარი მგზნებარე ლენინელი ბოლშევიკის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის სერგო ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება.

ფილმში, რომელზეც მუშაობა დაამთავრა რეჟისორმა თ. დოლიძემ (სცენარის ავტორი — მ. სალუქვაძე, ოპერატორი რ. მახარაძე), გაშუქებულია „რევოლუციის რაინდის“ მრავალმხრივი მოღვაწეობა, რომელმაც მკაფიო ფურცლები ჩაწერა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ისტორიაში. ეპიკურ ტილოში, რომელიც არსებითად მთელი ჩვენი ქვეყნის გმირულ ისტორიას მოგვითხრობს, დამონტაჟებულია საარქივო ფოტო და კინოჭრონიკის კადრები, პერიოდულ გამოცემათა უნიკალური დოკუმენტები და ისტორიული მასალა.

— გვინდოდა თვალი გაგვედევნებინა ამ გამოჩენილი პიროვნების ცხოვრების გზისათვის, — თქვა მ. სალუქვაძემ, — წარმოგვესახა სერგო ორჯონიკიძის მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდები 1903 წლიდან იმ დღეებამდე, როცა იგი სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის პოსტზე იყო. ჩვენი ფილმი — ეს არის კინოპემა ადამიანსა და მოქალაქეზე, რომელმაც თავი შესწირა რევოლუციის იდეალებს, ხალხის სამსახურს...

ფილმი „ამხანაგი სერგო. დიდი ცხოვრების ფურცლები“ ფართო ეკრანზე გამოდის. მისი პირველი მაყურებლები იქნებიან მოსკოველები. პრემიერა გაიმართება დედაქალაქის კინოს სახლში სერგო ორჯონიკიძის იუბილეს დღესასწაულობის დღეებში.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲔᲑᲘ

ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲨᲝᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲜᲚᲝᲨᲘ

ᲐᲗᲓᲚᲘᲐᲜᲘ გამოსვლები დაამთავრა პოლონეთში საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულმა სიმფონიურმა ორკესტრმა. მხატვრულმა კოლექტივმა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ჯანსუღ კახიძის ხელმძღვანელობით 13-21 სექტემბერს გასტროლები მოაწყო ქალაქებში ლუბლინში, ლოძში, კატოვიცეში, კრაკოვში, ბელსკო ბიალში, ვიგდოშჩში. და ბოლოს ორკესტრმა მონაწილეობა მიიღო მე-19 საერთაშორისო ფესტივალში „გარშავული შემოდგომა“.

კონცერტების პროგრამაში შეევიდა ს. რახმანინოვის მეორე კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის, პ. ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტი, რომლებშიც სოლოს ასრულებდა საქართველოს დამსახურებული არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ე. ანჯაფარიძე, ვებერის ოპერა „ობერონის“ უვერტიურა და პ. ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონია.

ვარშავის ტრადიციულ დათვალიერებაზე ორკესტრმა შეასრულა პოლონელი კომპოზიტორის ალექსანდრე ლასონის „სიმფონია — კონცერტანტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის“ (სოლისტი — პოლონელი პიანისტი და კომპოზიტორი ე. კნაპიკი), ე. დენისოვის „ვარიაციები ჰაიდნის კანონის თემაზე ვიოლონჩელისა და ორკესტრისათვის“ (სოლისტი — საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ი. მონიგეტი) და გ. ყანჩელის მეექვსე სიმფონია.

— ქართველ მუსიკოსთა კონცერტები პოლონეთში ხელოვნების ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა, — თქვა მუსიკათმცოდნე ე. ჩარკვიანმა. — ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მსმენელები წინასწარ ინტუიციით გრძნობდნენ, კონცერტი დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას რომ მიანიჭებდა. ეს დარბაზში საზეიმო ატმოსფეროს ქმნიდა. ხანგრძლივი ტაშით ხვდებოდნენ პოლონელები სცენაზე ჯ. კახიძის — ლოძის სატატიო მოქალაქის გამოჩენას, რომლის შემოქმედებასაც აქ კარგად იცნობენ. მსმენელის წინაშე აქ კვლავ წარდგა მოუსვენარი, მაძიებელი მუსიკოსი, რომელიც ნიადაგ ხელოვნების ახალ მწვერვალებს ესწრაფვის. ანსამბლურობამ, შინაგანმა ლოგიკამ, აკადემიურობამ და ამასთან ცალკეული ინსტრუმენტების კოლორიტულმა ეფერადობამ, ორკესტრის ტემბრულმა მრავალფეროვნებამ მოაჯადოვა მოძმე ქვეყნის მუსიკალური ხელოვნების მოყვარულნი.

ტაშის გრიალში მიმდინარეობდა ქართული ორკესტრის ყოველი გამოსვლა. „ბისზე“ არაერთგზის გაიმეორეს რ. ლაღიძის „საკიდაო“ და „მაზურკა“, ს. მონიუშკოს ოპერიდან „გალკა“. განსაკუთრებული წარმატება ხვდა საქართველოს სახალხო არტისტის გ. ყანჩელის სიმფონიას. ჩვეულებრივ თავშეკავებული პოლონელი მსმენელები ფეხზე ამდგარი უკრავდნენ ტაშს ქართველ მუსიკოსებს და გაიძახოდნენ „ბრავო“. მაყურებლებმა ოვაციები მოუწყვეს ავტორსა და მაესტროს — კომპოზიტორის ნაწარმოებთა ფაქიზ ინტერპრეტატორს.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲒᲔᲠᲝᲜᲢᲝᲚᲝᲒᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ გერონტოლოგები შეიკრიბნენ სოხუმში თავიანთ პირველ რესპუბლიკურ კონფერენციაზე „დაბერებისა და დღეგრძელობის „მექანიზმები“. მათთან ერთად დღეგრძელობის პრობლემებს განიხილავენ მოსკოველი, კიეველი, მინსკელი, ერევნელი, ნოვოსიბირსკელი მეცნიერები, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები. დღეგრძელობის ფენომენს სწავლობენ მედიკოსები და ბიოლოგები, სოციოლოგები და ფსიქოლოგები, ეთნოგრაფები და ისტორიკოსები. ამიტომ კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენებები ეხება დაბერების საფუძვლების გამოვლენის სხვადასხვა ასპექტს, წარმოდგენენ მრავალ მომართულებასა და სკოლას.

— მსოფლიოში ბევრია ადამიანი, რომლებმაც ასი წლის ასაკს გადააბიჯეს, — თქვა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გერონტოლოგიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული ჯანყოფილების ხელმძღვანელმა და ფიზიოლოგიის ლაბორატორიის გამგემ ვ. ფროლკისმა. — ამ მოვლენის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ორგანიზმის დიდი ბიოლოგიური შესაძლებლობების გამოვლენისათვის.

ახლანდელი კონფერენცია ტყუილად როდი იმართება აფხაზეთის დედაქალაქში; იგი ოდითგანვე განთქმულია თავისი დღეგრძელებით. გარდა ამისა, ჩვენს რესპუბლიკაში, კერძოდ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში, შექმნილია დაბერების მექანიზმების შესწავლის სოლიდური გამოცდილება. ამ მიღწევებმა შეადგინეს კიდეც მსოფლიოში პირველად საბჭოთა კავშირში შემუშავებული „სიცოცხლის გახანგრძლივების“ კომპლექსური პროგრამის უმნიშვნელოვანესი ნაწილი.

კონფერენციის პროგრამაშია შეხვედრა აფხაზეთის დღეგრძელებთან. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

„ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘᲓᲐᲜ“ ᲡᲔᲘᲛᲝᲣᲠᲘᲐᲛᲓᲔ

ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲒᲚᲝᲙᲜᲝᲢᲘᲓᲐᲜ

ᲯᲐᲛᲐᲡ წინათ საბჭოთა კავშირიდან გაფრინდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირის თხუთმეტკაციანი დელეგაცია საქართველოს კულტურის მინისტრის ვალერი ასთხიანის მეთაურობით. დელეგაცია ეწვია სამ სახელმწიფოს — მადაგასკარს, მავრიკიას, სეიშელის კუნძულებს. ამ სახელმწიფოთა მეთაურებისა და კულტურის მინისტრის ხელმოწერით გაფორმდა მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის მრავალწლიანი ხელშეკრულებები. გაიმართა სინტერესო შეხვედრები, პრესკონფერენციები. პრესაში დაიბეჭდა და ტელევიზიით გადაიცა ინტერვიუები ჩვენი ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა პრობლემებზე. ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ფართოდ (გამოეხმაურნენ დელეგაციის ყოფნას და ხაზგასმით აღნიშნავდნენ მის უდიდეს ინტერნაციონალურ და კულტურულ მნიშვნელობას თავიანთი ქვეყნის ცხოვრებაში. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ დელეგაცია ზოგან ისეთ კუთხე-ქალაქში გახლდათ (განსაკუთრებით სეიშელის კუნძულებზე), სადაც კულტურული მისიის საბჭოთა დელეგაციას მანამდე ფეხი არ დაუდგა.

ᲛᲐᲓᲐ�გᲐᲡᲙᲐᲠᲘ, მავრიკია და სეიშელის კუნძულები რომ „ქვეყნის დასალიერში“ მდებარეობენ, იმასაც კი მოეხსენება, ვინც საშუალო სკოლაში გეოგრაფიას სამადლო სამიანზე ძლივს სწავლობდა.

მთელს მადაგასკარზე ღია წითელი მიწაა, ამიტომაც მას მოგზაურები „წითელ კუნძულსაც“ უწოდებენ. მოსახლეობის უმეტესობას მალგასიელები, ინდოელები, არაბები და ზანგები შეადგენენ. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს მადაგასკარზე ფრანგები გადმოსხდნენ და ტანმორჩილი, გულუბრყვილო და სტუმართმოყვარე მალგასიელებს „გაიძვერა მოყვარის“ პოლიტიკით ევროპულ ცივილიზაციასთან ზიარება დაუწყეს. ხოლო 1885 წელს კი იმერინის მონარქების ლამის მარონიტული ხელისუფლებაც გაიუქმეს და მადაგასკარი საფრანგეთის კოლონიად გამოაცხადეს. „განსწავლის“ არასრული საუკუნე საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მალგასიელს თავისი ენა, ეთნიკური სახე დაეკარგა და გადაგვარების ოკეანეში ღრმად შეეცურებულიყო. 1960 წლიდან მადაგასკარი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა და ენერგიულად ცდილობს თავისი ეროვნული სახე დაიბრუნოს. მაგრამ ცივილიზებული დინების ეროვნულ ღარზე მიშვება ძალიან უჭირს. მწერლების ოთხმოცდაათი პროცენტი წიგნებს ფრანგულად წერს, მალგასიური ენაზე მოქმედი სკოლები ძლივს ფეთქავენ, რადგანაც ევროპულ კულტურაში ფეხშედგმული შობლები ამჯობინებენ შვილები ფრანგულ სკოლაში მიაბარონ. ტელევიზია უმეტესწილად ფრანგულ გადაცემებს სთავაზობს. მუსიკალური მალგასიელნი თავიანთ შობლიურ ენაზე მხოლოდ მღერიან და ცეკვავენ უძველეს მალგასიურ ცეკვებს. ამათაც მხოლოდ ეროვნულ ანსამბლთა წევრებიღა ახერხებენ.

ბუნებრივია, შორეთში ჩასულ ქართველ კაცს მთები და მათი მწვანე სამოსელი აღარ აოცებს. საზღვარგარეთ უფრო ადამიანთა ყოფაცხოვრების, მათი სულიერი წყობის გაცნობის წყურვილი აქვს, მით უფრო მწერალს. უცხოეთში კი ლამის ყველგან ერთნაირად ზდება; შენს ირგვლივ მოფუსფუსე გიდები და სხვა სამსახურის წარმომადგენლები სიამოვნებით გიჩვენებენ ბუნების საოცრებებს, ვულკანურ ტბებს და ჩანჩქერებს, სასაფლაოს, აკლდამებსა და მუზეუმთა გაქვავებულ ექსპონატებს, მაგრამ როგორც კი თანამედროვე კაცის სახლში, ან სულში შეხედვის სურვილს გაამღვივებენ, მაშინვე სრულიად უსაფუძვლო შიში და ზრუნვა ჩაუდგებათ თვალებში და ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეგიშალონ.

ქალაქ ანცირაბეში რომ მივედგზავრებოდით, გზის ორივე მხარეს ალიზით შელესილი წოწოლა ქოხმახები ჩანდა. ერთი სული მქონდა გამეგო, როგორია ჩვენი ლენინური მადაგასკარელი გლეხის სახლის ინტერიერი. გიდს რამდენჯერმე ჩამოუგდე სიტყვა, მაგრამ ფარი განმიცხადა: მალგასიელს არ უყვარს, როცა მის სახლში უცხოელი შეიხედავს, ეშინია თვალი არ ეცესო. რასაკვირველია, ამ თავაზიანმა უარმა არ დამაკმაყოფილა, უკან დაბრუნებისას ვისარგებლე ჩვენი პრესატაშის არსენ განიევის კეთილგანწყობით, რომელმაც სიამოვნებით დამითმო „ტოიოტას“ სავე და ჩვენი ფელგაციის ავტობუსი თვალს რომ მიეფარა, მანქანა ერთ-ერთ მადაგასკარულ „ვილასთან“ დავამუხრუჭე, ფეიზმიმე ქალი და მზისქუდიანი, დაძარღვული მალგასიელი გამოგვეგებენენ. დიდას ქვედატანზე შემოხვეულ გაურკვეველი ფერის ქსოვილზე ოთხი თვალმაყვალა ბალღი ეპორწიალებოდა. როცა არსენმა ჩვენი სურვილი აუწყა მასპინძლებს, უნდა გენახეთ, ცოცხ-ქმრის სიხარულისაგან გაბადრული სახეები. სახლის დათვალიერების თხოვნაზე სიამოვნებით დაგვთანხმდნენ. მალგასიელის ალიზით შელესილი ტიპური სახლი მაღალი იმიტომ ჩანდა, რომ ორსართულიანი ყოფილა. იგი ორი ვიწრო ოთახისაგან შედგება. ზედა და ქვედა ოთახები ფარღალალა ფიცრებითაა დაყოფილი. „ზემოთ ბავშვებს სძინავთ, ქვემოთ ჩვენო“, გამოგვიცხადა ოჯახის უფროსმა. მაგრამ ვერც ზემოთ და ვერც ქვემოთ ვერ აღმოვაჩინე ისეთი რამ, რაზეც შეიძლებოდა „ბავშვებს, ან მათს შობლებს სძინებოდათ. ოთახებში არ იდგა არც საწოლი, არც სკამი, არც მაგიდა. ფანჯრის რაფაზე რამდენიმე თიხის ჯამი იდო. ეგ იყო სულ მალგასიელის ავლა-დიდება. ასე რომ, ვერაფერი ვნახე იმ სახლში ისეთი, რასაც შეიძლებოდა „თვალი სცემოდა“. მალგასიელთ იატაკზე ძინავთ, იატაკზვე (ხის ჯამებით მუხლებზე) სადილობენ და საერთოდ შინ იშვიათად არიან. რახან ბოხანს. ახალ სუდარაში გაახვევენ და ისევ აკლდამის გზას გაუყენებენ. ასე „მონაწილეობს“ მიცვალებული მალგასიელის ცხოვრებაში და შორეული კუნძულის მცხოვრებთ ღრმად სჯერათ, რომ მიცვალებულის მიწაში ჩაფლა უდიდესი ცოდვაა, რადგანაც ბიოლოგიური გარდასახვა (სული შორდება სხეულს) ადამიანის სამუდამოდ წასვლას რიდი ნიშნავს, სული ყველაფერს გრძნობს და ხედავსო.

რაკი სიტყვას მოჰყვა, აქვე აღვნიშნავ, რომ მადაგასკარზე სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ ორმოცდაერთ წელია.

ᲛᲐᲕᲠᲘᲙᲘᲐ მადაგასკართან შედარებით პატარა სახელმწიფოა, ერთი მილიონი მცხოვრებით. მოსახლეობის უმეტესობას ინდოელები და კრეოლები შეადგენენ. მავრიკიაში რკინიგზა არ არის. სახელმწიფოს ოფიციალურად ერთი გემი და სამად სამი თვითმფრინავი აქვს. ქვეყნის შემოსავლის ძირითადი წყაროა შაქრის ლერწამი და ტურიზმი.

საინტერესოა, რომ მავრიკიელნი სასმელად, ძირითადად, წვიმის წყალს ბმარობენ. ნალექები აქ უხვად მოდის და წვიმის წყალს უხარბაზარ რეზერვუარებში აგროვებენ.

დედაქალაქ პორტ-ლუისში ჩვენი იქ ყოფნის დროს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ითვალისწინებს გაუფრთხილებლად ათი წლით პატიმრობას ნარკოტიკის მიღებისათვის და დახვრეტას — ნარკოტიკების გავრცელებისათვის. კუნძულის მოსახლეობა, როგორც გვითხრეს, კმაყოფილებით შეხვდა ამ ღონისძიებას, რადგანაც ნარკომანიამ ინდოელთა და მავრიკიელთა ამ პატარა სახელმწიფოში ბოლო ხანს არნახული მასშტაბი მიიღო.

მავრიკიას ჯარი არა ჰყავს, მშვიდობიანი ნეიტრალური სახელმწიფოა და დედამიწის პოლიტიკურ ვნებათაღელვაში აქტიურად აო მონაწილეობს.

მეხსიერებაში სამუდამოდ ჩამებეჭდა მავრიკის ჩვეულებრივი პეიზაჟი: წითელყვავილოვანი ზღვაპრული ხეები, კაშკაშა მზე და შაქრის ლერწმის ყანებში მოულოდნელად ცისკენ ავარდნილი, თვალშეუდგამი შავი კლდეები, მწვანე წყალკოტიდან ამოშვერილ ამ გიგანტურ კლდეებზე ბალახის ნაკვამალიც არ ჩანს. ვულკანური წარმოშობისააო, თქვა გამყოლმა.

მავრიკიაში სუფთა ჰაერი, სიმშვიდეა. ხელისუფალნი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ზღვა და ატმოსფერო არ გაჭუჭყიანდეს და სახელმწიფომ ტურისტული მაზანდა არ დაკარგოს. ამიტომაც ლამის შეგვნებულად ამბობენ უარს მრეწველობის მასშტაბურ განვითარებაზე. მძიმე და შავი მეტალურგია საერთოდ არა აქვთ, ელექტროენერგიის ძირითადი წყარო თბოელექტროსადგურები. აქ სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები საერთოდ არ არის. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ზღვისპირა სასტუმროები, სადაც ნომრის დაქირავება ტელეფონითაც შეიძლება.

მავრიკია განთქმულია მდიდარი ზოოპარკებითა და აკვარიუმებით. საგულისხმოა ზოოპარკთა მოწყობის წესი. რკინა გალიები აქ მხოლოდ ზოგიერთი სახის ფრინველისთვის აქვთ. ცხოველები და მათ შორის ისეთი მარდნიც კი, როგორიც აფრიკული ზებრა და ჟირაფი გახლავთ, დამთვალიერებელთაგან წყლის არსებით არიან გამოყოფილნი, კუნძულზე ზოოპარკის ბინადართა ცხოვრება ბუნებრივობის ილუზიასაც ქმნის და ჰიგიენური თვალსაზრისითაც უფრო მოსაბერებელიაო, აგვიხსნეს...

მავრიკიელ მწერლებთან შეხვედრაზე დრამატურგ აზის ისკალს ვკითხე, მავრიკიაში დრამატული თეატრი რომ არ არის, თქვენი პიესები სად იდგმება-მეთქი. ორმოცდაათამდე პიესის ავტორი ვარ. აქედან მხოლოდ ორია დადგმული, ისიც საზღვარგარეთ. მავრიკის ეროვნული თეატრი დიდხანს სულს ღაფავდა და თხუთმეტი წლის წინათ არსებობა შეწყვიტა, მიპასუხა. მიზეზით დაინტერესდით.

დამსვენებელს ქუდი რომ შეუგდო, ეროვნულ დრამატულ თეატრში არ შევა, ჩვენი პრობლემები მას არ აინტერესებს, რაც შეეხება მავრიკიელს, არ ვიცი თქვენთან როგორ არის, მაგრამ აქ ტელევიზორისაგან მაყურებლის მოგლეჯა უძნელესი საქმეაო.

საერთოდ მწერალი თუ უყვართ-მეთქი მავრიკიაში. მწერალი კი უნდა უყვარდეთ, მაგრამ წიგნებს არ ყიდულობენო. თვით ყველაზე ცნობილ ადგილობრივ მწერალთა წიგნების ტირაჟი ასერად ერთი ტომ და სამად სამი თვითმფრინავი აქვს. ქვეყნის შემოსავლის ძირითადი წყაროა შაქრის ლერწამი და ტურიზმი.

საინტერესოა, რომ მავრიკიელნი სასმელად, ძირითადად, წვიმის წყალს ბმარობენ. ნალექები აქ უხვად მოდის და წვიმის წყალს უხარბაზარ რეზერვუარებში აგროვებენ.

დედაქალაქ პორტ-ლუისში ჩვენი იქ ყოფნის დროს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელ

ინტერნაციონალი
ფიქრები • მოვლენები

უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა

გამოსამშვიდობებელი

მთელ მსოფლიოში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად აღიქვეს ცნობა იმის შესახებ, რომ რეიკიავიკში ერთმანეთს უნდა შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. რეიგანი.

ბაერთიანებული ერების ორგანიზაცია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხ. პერეს დე კუელიარმა გამოთქვა იმედი, რომ შეხვედრა შესაძლებლობას მისცემს ორ სახელმწიფოს გააუმჯობესონ ურთიერთობა, ამასთან გაკვალავს გზას არსებითი ურთიერთგაგების მისაღწევად, განსაკუთრებით განიარაღების დარგში. ორმხრივი ურთიერთობის ასეთი გაუმჯობესება პოზიტიურ ზემოქმედებას მოახდენს მთლიანად საერთაშორისო გაერთიანებაზე და, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაზე, აღნიშნა მან.

ვაშინგტონი. „როდესაც მოპირისპირე მხარის წარმომადგენლებთან ერთად ერთ მაგიდასთან ჯდები, ყოველთვის გამოჩნდება ხოლმე რადიკალური შედეგის მიღწევის შესაძლებლობა“, — ასე გამოეხმაურა საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის უმაღლესი დონის მომავალი შეხვედრის ამბავს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი თომას ონილი. თავის მხრივ, სენატის რესპუბლიკელთა უმრავლესობის ლიდერმა რობერტ დოულმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა „შესაძლებელს ხდის მთელ რიგ არსებითს პრობლემათა გამომრიგების მიღწევას“. „დამაბიმედებელი ნიშანი“ უწოდა მომავალ შეხვედრას წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ დანტე ფესელმა.

ლონდონი. დიდი ბრიტანეთი მიესალმება მ. ს. გორბაჩოვისა და რ. რეიგანის მომავალ შეხვედრას რეიკიავიკში, ხაზგასმით აღინიშნა პრემიერ-მინისტრ მ. ტეტჩერის განცხადებაში, რომელიც აქ გავრცელეს. ეს ცნობა მოწმობს, რომ ორივე მხარე ისწრაფვის გამართონ უმაღლესი დონის შეხვედრა და ჭეშმარიტად სწადიათ მიაღწიონ რეალურ პროგრესს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის გაუმჯობესებაში, ნათქვამია დოკუმენტში.

„შესანიშნავი ახალი ამბავი“ უწოდა მომავალი შეხვედრის ცნობას დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ნ. კინოკმა.

ბონი. როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, მომავალი შეხვედრის ცნობა მოწმობს, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობა გამოცოცხლდა. მთავრობის აზრით, „პროგრესი მოსალოდნელია უწინარესად შეიარაღებისადმი კონტროლის საკითხებში, ვინაიდან ორივე მხარე ფრიად დაინტერესებულია ამ დარგში შედეგების მიღწევით“.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბუნდესტაგის ფრაქციის თავმჯდომარემ ჰ. ი. ფოგელმა გამოთქვა იმედი, რომ რეიკიავიკის შეხვედრას მოჰყვება პრაქტიკული შედეგები განიარაღებისა და დაძაბულობის შენელების დარგში. სოციალ-დემოკრატები განსაკუთრებულ იმედს ამყარებენ საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების შეზღუდვაზე.

ვაშინგტონი. ესპანეთის მთავრობა იმედით მოელის მ. ს. გორბაჩოვისა და რ. რეიგანის მომავალ შეხვედრას. მისი აზრით, „ასეთი შეხვედრები ყოველთვის პოზიტიური იყო და ხელს უწყობდა ურთიერთგაგებას, საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების კლიმატის შექმნას“, იუწყება ეფეს საგაენტო, რომელიც იმოწმებს ოფიციალურ წყაროებს.

სტოკპოლმი. შვეციის პრემიერ-მინისტრმა ი. კარლსონმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ისლანდიის დედაქალაქში ერთმანეთს ხვდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. რეიგანი.

პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს ის, რომ მ. ს. გორბაჩოვი და რ. რეიგანი კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს, ნათქვამია შვეციის მთავრობის აქ გავრცელებულ განცხადებაში, რომელშიც გამოთქმულია იმედი, რომ რეიკიავიკის შეხვედრა ხელს შეუწყობს დაძაბულობის შენელებას.

ტოკიო. იაპონიის მთავრობა მიესალმება მორიგებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის შეხვედრის მოწყობის შესახებ, განაცხადა ტოკიოში გამართულ პრესკონფერენციაზე იაპონიის მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა გოტოდამ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„ᲧᲘᲜᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ქვეყანა — ასე უწოდებენ ოდითგანვე ატლანტის ოკეანეში მდებარე კუნძულს, რომლის ჩრდილოეთის დაბოლოება პოლარულ წრეს ემიჯნება. ხმელეთის ეს პატარა მონაკვეთი თითქმის 1000 კილომეტრით არის დაშორებული ევროპის მატერიკს. კუნძულზე გადის საჰაერო გზები ძველ და ახალ სამყაროს შორის, მაგალითად, მოსკოვ-ნიუ-იორკის უმოკლესი ხაზი. ისლანდია სწორედ ამ ტრასის შუაში მდებარეობს.

ისლანდიის აღმოჩენის შესახებ პირველი ცნობები განეკუთვნება მე-8 საუკუნის დამლევს, როცა ირლანდიელი ბერები გადავიდნენ უცნობი მიწის ნაპირზე. მაგრამ ქვეყნის პირველ აღმომჩენად ჩვეულებრივ მიაჩნიათ ნორვეგიელი მხედართმთავარი ინგოლფურ არნარსონი, რომელმაც 874 წელს პირველად გამოიზამთრა იმ ადგილას, სადაც ახლა ისლანდიის რესპუბლიკის დედაქალაქი რეიკიავიკი მდებარეობს. მოგზაურობდა რა დასავლეთის სანაპიროს გაყოლებით, მან და მისმა თანამგზავრებმა ერთ-ერთ რიაონს უწოდეს ისლანდია — „ყინულოვანი ქვეყანა“. შემდგომში კი მთელ კუნძულს დაერქვა ეს სახელი.

თანამედროვე ისლანდიაში, როგორც ორი წლის წინათ აღინიშნა თავისი ისტორიის ღირსშესანიშნავი თარიღი — კუნძულის დასახლების 1110 წლისთავი, ახლა ცხოვრობს 240 ათასზე მეტი კაცი — პირველ მოსახლეთა შთამომავლები. ქალაქელთა ნახევარზე მეტი და ქვეყნის მთელი მოსახლეობის 40 პროცენტზე მეტი დედაქალაქში ცხოვრობს. საუკუნეთა მანძილზე ისლანდიელთა ძირითადი საქმიანობა იყო და არის მებადურობა — ეროვნული ეკონომიკის დარგი, რომელიც ახლა სახელმწიფო ხაზინაში შემოსულობათა მეტ ნაწილს იძლევა. ისლანდიის ექსპორტის დაახლოებით სამ მეოთხედს თევზი და თევზის პროდუქტები შეადგენს; ხოლო თევზის მრეწველობის წილად მოდის მთლიანი ეროვნული პროდუქტის მეხუთედი. ტყუილად როდი უწოდებენ ისლანდიელებს საუკეთესო მებადურებს ევროპაში.

ისლანდია პარლამენტური რესპუბლიკაა. ამასთან მისი პარლამენტი (ალტინგი) ყველაზე ძველია ევროპაში. 1944 წელს გამოცხადდა ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა. საბჭოთა კავშირს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ისლანდიასთან და ერთ-ერთმა პირველმა ოფიციალურად ცნო ევროპის ჩრდილოეთით მდებარე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო.



ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ
ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲡ
380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96.
ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲒᲘᲜᲝᲡᲘ — 99-66-10, ᲒᲐᲜᲘᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢ ᲣᲚᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 98-95-20, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲜᲔᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ — 98-20-34, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ — 98-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 98-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘᲡ — 98-22-98, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 98-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝᲜᲘᲡ — 99-60-21, ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 98-28-54, ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲛᲝᲑᲠᲘᲕᲝ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ — 98-95-24.
ᲡᲐᲥᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — 290-68-47; ᲡᲝᲩᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ 2-22-52; ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-26; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — 14-27-87; ᲒᲝᲠᲘ — 2-38-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ — 2-03-15; ᲤᲝᲗᲘ — 5-58-69; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲩᲘᲢᲐᲪᲝᲛᲘ — 5-56-36; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 3-12-99; ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 25-32.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲜᲐ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

პარიზი. თანამედროვე ეტაპზე საფრანგეთის კომპარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, ხალხთა შორის თანამშრომლობის განვითარებისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლის შემდგომი გაფართოება. ეს ხაზგასმით აღინიშნა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აქ გამართულ პლენუმზე.

მისი მუშაობის შედეგებზე ჟურნალისტებს ესაუბრა საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ჟორჟ მარშე. დღევანდელ მსოფლიოში მშვიდობიან განვითარებას ალტერნატივა არა აქვს, თქვა მან. სხვა მხარეა ბირთვული კატასტროფა. დღეს გამოცხადებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ რეიკიავიკში გაიმართება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის შეხვედრა, დამაიმედებელი ნიშანია. გამოთქვამთ იმედს, რომ ამ შეხვედრას შემდგომი პროგრესი მოჰყვება განიარაღების საქმეში.

ჟ. მარშემ თავის მოხსენებაში და პლენუმზე გამოსულმა ორატორებმა შეაფასეს საფრანგეთის ახლანდელი შინაპოლიტიკური სიტუაცია. პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვანი აზრი გამოთქვეს იმის თაობაზე, რომ მემარჯვენე პარტიების მთავრობის პოლიტიკა ხელს უწყობს მსხვილი კაპიტალის შეტევას მშრომელთა უფლებებზე, იწვევს უმუშევრობის ზრდას, ცხოვრების დონის დაქვეითებას, უცხოეთის კაპიტალზე ქვეყნის დამოკიდებულების გაღიდებას, დემოკრატიულ თავისუფლებათა ლიკვიდაციას.

საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა მკაცრად გააკრიტიკა მემარჯვენე ძალების გაფფრებული თავდასხმები, რომლებიც ცდილობენ კონსტიტუციური რეფორმების მეოხებით ლაბავრი ჩასცენ საფრანგეთის კომპარტიის პოზიციებს.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

გუშინ ბორჯომში დაიწყო მეთამაშეგიტის ს. ს. ჭელიძის მიერ გაწეული მუშაობა.

პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მაია ჩიბურდანიძისა და ელენე ახმილოვსკაიას ორთაბრძოლა მკაფიო ფურცელს ჩაწერს მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა ორივე პრეტენდენტს შემოქმედებითი წარმატებანი უსურვა.

მატჩის მთავარმა არბიტრმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა, იუგოსლავმა რუდოლფ მარიჩმა საათი ჩართო და გამოაცხადა, რომ დაიწყო მეცხრე პარტია, რომელშიც თეთრებით ჩიბურდანიძე თამაშობს. მეტოქეებმა კატალონიური დასაწყისი გაითამაშეს. პარტია გადაიდო.

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲔᲑᲚᲓᲐ

ᲛᲝᲛᲐᲮᲓᲠᲐᲙᲘᲗᲮᲐ ᲔᲡᲝᲤᲚᲘᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მაია ჩიბურდანიძისა და ელენე ახმილოვსკაიას ორთაბრძოლა მკაფიო ფურცელს ჩაწერს მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა ორივე პრეტენდენტს შემოქმედებითი წარმატებანი უსურვა.

მატჩის მთავარმა არბიტრმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა, იუგოსლავმა რუდოლფ მარიჩმა საათი ჩართო და გამოაცხადა, რომ დაიწყო მეცხრე პარტია, რომელშიც თეთრებით ჩიბურდანიძე თამაშობს. მეტოქეებმა კატალონიური დასაწყისი გაითამაშეს. პარტია გადაიდო.

ᲨᲕᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲡᲘᲛᲬᲠᲗᲘᲡᲚᲔᲡ

ცნობილ დიდოსტატ აკიბა რუბინშტეინს უყვარდა ხუმრობით თქმა: „მომაკვდავს შეუძლია ყველაფერი ჰამოს“. ახლა მატჩზე საერთოდ არა ჩანს „მომაკვდავი“, ამიტომ, გასაგებია, მეტოქეები ძალიან ფრთხილობენ. ახლა ისეთი დრო დადგა, რომ ერთ-ერთი მხარის პირველივე გამარჯვება ორთაბრძოლის საბოლოო ბედს გადაწყვეტს. განსაკუთრებით დიდი როლი მიენიჭა დებიუტის შერჩევას. და ეს უპირატესად შავებზე ითქმის. აქამდე, კასპაროვისა და კარპოვის არც პირველ და არც მეორე მატჩში თეთრი ფერით მოთამაშეებს ასეთი თვალსაჩინო უპირატესობა არა ჰქონიათ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ მხარის გამარჯვებით დამთავრებული 8 პარტიიდან 7 თეთრებმა მოიგეს! ამიტომ საინტერესო იყო, რომელ დებიუტს აირჩევდა ოცდამეერთე პარტიაში კასპაროვი მას შემდეგ, რაც გრიუნფელდის დაცვა უკვე აღარ გამოადგებოდა.

პირველივე სვლებიდან ნათელი გახდა, რომ შავებმა ახალინდურ დაცვას მიმართეს. ეს დებიუტი არც ამ მატჩში შეგვხვედრია და არც წინაში, ამ მეტოქეთა პირველ ორთაბრძოლაში კი ძალზე პოპულარული იყო. ოცდამეერთე პარტიის 15 სვლა დაემთხვა პირველი მატჩის მეექვსე პარტიას, ოღონდ იყო ერთი არსებითი განსხვავება — თეთრებთ მაშინ კასპაროვი თამაშობდა. ერთი სიტყვით, გაგრძელდა აღრე წამოწყებული დავა, როცა მოჭადრაკე იძულებულია საკუთარი თავის... წინააღმდეგ ითამაშოს.

შეიძლება ითქვას, რომ კასპაროვის არჩევანი ამჟამად სწორი გამოდგა. მან საკმაოდ ხელსაყრელად განლაგა თავისი ძალები და რაიმე სიძნელეები არ განუცდია. კარპოვმა დროებით შეწყვიტა პაიკი და შეეცადა ინიციატივას დაუფლებოდა. კასპაროვი, წინა შეხვედრებისაგან განსხვავებით, ძალზე თავდაჭერილად თამაშობდა. მალე აღდგა მატერიალური წონასწორობა, გაიცვალა ოთხივე ელი, შემდეგ ლაზიერებიც. თამაში მსუბუქი ფიგურების თანაბარ ენდშპილში გადავიდა და, ეტყობა, პარტია ყაიმით დამთავრდება.

ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲔᲠᲗᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘ — ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ

ახალინდური დაცვა

1. d4 ᲤF6 2. c4 e6 3. ᲤF3 b6 4. g3 ᲒA6 5. b3 ᲒB4+ 6. ᲒD2 ᲒE7 7. ᲒG2 0—0 8. 0—0 d5 9. ᲑE5 c6 10. ᲒC3 ᲤFD7 11. Ბ:d7 Ბ:d7 12. ᲑD2 ᲒC8 13. e4 dc 14. bc b5 15. ᲒE1 bc 16. ᲒC2 ᲒC7 17. ᲑF1 e5 18. ᲑE3 ed 19. Გ:d4 ᲒC5 20. Გ:c5 Ბ:c5 21. Ბ:c4 ᲤFD8 22. ᲒAD1 Გ:d1 23. Გ:d1 ᲒD8 24. Გ:d8+ Ł:d8 25. h4 Ł:d4 26. Ł:b2 Ł:b2 27. Ბ:b2 f6 28. f3 Ბ:g7 29. ᲒF1 ᲒB5 30. Ბ:g2 Ბ:e6 31. ᲒC4+ Ბ:d6 32. Ბ:e3 Ბd7 33. f4 Ბb6 34. ᲒG8 h6 35. Ბd3 Ბd7 36. Ბ:d4 c5+ 37. Ბ:c3 ᲒC6 38. Ბf2 Ბb6 39. ᲒB3 Ბa8 40. Ბ:d8 Ბb6 41. ᲒC2. პარტია გადაიდო.

გ. კასპაროვისა და ა. კარპოვის მატჩ-რევანშის ოცდამეერთე გადადებულ პარტიაში მხოლოდ ოთხი სვლა გაკეთდა და მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

მატჩის ანგარიშია 10,5:10,5.

შემდეგი, ოცდამეორე პარტია დღეს გაიმართება. თეთრებით მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი ითამაშებს.

გ. გამრეკელი.

ᲐᲨᲨ — ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲓᲔᲡ ᲐᲡᲐᲢᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ

ვაშინგტონი. **შეერთებულმა შტატებმა საშობაოთ მოაწყო ასატის თანამგზავრსაწინააღმდეგო სისტემის ახალი გამოცდა. როგორც პენტაგონში იუწყებიან, რაკეტგადამტანი გაუშვეს ფ-15 ავიაგამანადგურებლიდან, რომელიც აფრინდა შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ვანდენბერგის ბაზიდან (კალიფორნია). რაკეტის დამიზნების ინფრაწითელი სისტემის დამუშავებისათვის პირობითს სამიზნედ აირჩიეს ერთ-ერთი ვარსკვლავი.**

ეს თანამგზავრსაწინააღმდეგო კომპლექსის მეხუთე გამოცდაა 1984 წლის იანვრიდან. გასული წლის დამდეგს კონგრესის გადაწყვეტილების შედეგად პენტაგონი იძულებული იყო შეეწყვიტა კოსმოსში რეალურ სამიზნეებზე ასატის სისტემის გამოცდა. არცთუ ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც წარმომადგენლობა პალატამ კვლავ მიიღო სამხედრო ასიგნებათა შესახებ 1987 წლის კანონპროექტის შესწორება, რომელიც ახანგრძლივებს ამ აკრძალვის მოქმედებას. მაგრამ თეთრმა სახლმა მოითხოვა გააუქმონ გამოცდების შეზღუდვა, და დაიმუქრა, რომ პრეზიდენტის ვეტოს დაადებს თავდაცვის ასიგნებათა შესახებ მთელ კანონპროექტს.

პენტაგონი არ დაელოდა ამ საკითხის გადაწყვეტის შედეგს და განაგრძობს პირობითს სამიზნეებზე სისტემის დამუშავებას, ამასთან ეშზადება კომპლექსის დიდი მასშტაბის გამოცდების აღდგენისათვის. 1987 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაგეგმეს სამი გამოცდა რეალურ სამიზნეებზე. ამისათვის დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე უკვე გაყვანილია ორი სპეციალური სამიზნე თანამგზავრი.

ᲥᲐᲑᲣᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

◆ ᲐᲕᲚᲐᲜᲔᲗᲘ

ქაბული. ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ს. ა. ქეშთმანდმა დიდად შეიფასა ყოველმხრივი დახმარება, რომელსაც ავღანეთს უწევს საბჭოთა კავშირი. ქაბულში გამართულ საერთაშორისო-პრაქტიკულ კონფერენციაზე მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სეგენაში ს. ა. ქეშთმანდი შეეხო მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია წელს მიღებულ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების ხუთწლიან გეგმასთან.

ᲚᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲣᲞᲔᲠᲔᲜᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ

● ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

ᲐᲗᲔᲜᲘ. საბერძნეთის შეიარაღებული ძალების სარდლობამ გასცა ბრძანება საბრძოლოდ მოამზადონ ქვეყნის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალები. ამ გადაწყვეტილებამ, აღნიშნა პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, თავდაცვის მინისტრმა იოანნის ხარალამბოპულოსმა, თავიდან უნდა ააცილოს საბერძნეთს ეგეოსის ზღვაში ნატოს „დისპლეი დეფერმინეიშნის“ მანევრების დროს მისი საჰაერო სივრცის შესაძლო დარღვევები. იძულებული ვართ განვახორციელოთ საჭირო ღონისძიებანი ეროვნული სუვერენიტეტის ინტერესებისათვის, ხაზი გაუსვა მან.

ᲗᲔᲕᲖᲛᲐ ᲠᲐᲚᲐ ᲓᲐᲐᲨᲐᲕᲐ

ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ?!

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ საკორესპონდენტო პუნქტში სიგნალი შემოვიდა: ჩვენი საკარიდამო ნაკვეთის ახლოს, — გვწერდნენ ლენინგრადის რაიონის შრომისუნნის კოლმეურნეობის წევრები სანდრო, ლერი, კასიანე მდინარაძეები, — ორი წელია კოლმეურნეობასთან კოოპერირების წესით ვამუშავებთ სამინდის ყანას, ვუვლით თუთის ნარგავებს, ხოლო ჭაობიან ადგილზე მოვაწყვეთ ტბორი, სადაც მოვაშენეთ თეთრი ამერისა და სარკისებრი კობრის ჯიშის თევზი და მათ ბალახითა და საოჯახო ნარჩენებით ვკვებავდით.

უკვე დიდძალ „ცოცხალს“ ვეღოდით, რომლის დიდი ნაწილი სახელმწიფოსათვის უნდა მიგვეყიდა. მაგრამ... ვინ გვაცალა! მიმდინარე წლის 3 აგვისტოს მოვედა მილიციის მუშაკთა ჯგუფი, რომლებმაც ექსკავატორებით გახსნეს სათევზე აუზები, გაუშვეს წყალი, 400 კილოგრამამდე ქვიერითთან სავსე თევზი შეაგროვეს და წაიღეს, ხოლო ათიათასობით ლიფსიტა დაიხოცა და ირგვლივ საშინელი სუნი დააყენა. ასე ჩაიყარა წყალში დიდი შრომა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით.

გადავწყვიტეთ ადგილზე შეგვესწავლა მდინარაძეების საჩივარი და შრომისუნნის ვეწვიეთ. სოფელში ყველა აღშფოთებით ლაპარაკობდა ამ ფაქტზე. ჩვენი ყურადღება ერთმა წელში მოხრილმა მოხუცმა კაცმა მიიქცია. იგი ნაღვლიანად ჩასცქეროდა დამშრალ ტბორს, რომელიც შუა ზაფხულამდე „ცოცხალით“ იყო სავსე. ეს გაბლდათ სანდრო მდინარაძე, — 90 წელს მიღწეული კაცი.

— ეს მიწა კოლმეურნეობისათვის გამოუსადეგარი იყო, — თქვა მან, — ჩვენც ვითავეთ და გაძეგობაც დაგვეთანხმა, იგი სიკეთის სამსახურში ჩაგვეყენებინა.

მოწეული მოსავლის და თევზის დიდი ნაწილი კოლმეურნეობისა იქნებოდა. არც ჩვენ დავრჩებოდით გულნაკლული. ჩემს შვილთან ერთად შრომაც საკმაოდ გავწიე და ხარჯებიც. მარტო შემოსავალს ვინ დაიქებდა, უკვე თვალს ახარებდა ყოველივე. იმ დალოცვილებს რა ეჩქარებოდათ, ეთქვათ ჩვენთვის და თავად გავეცლებოდით აქედან. მისთვის კოლმეურნეობა მომეულს გამოყოფდა და შემოსავალს შემოსავალი მიეტანებოდა. ჩვენ კრეტსაც არ დავძრავდით.

ვუსმენთ ამ კეთილსინდისიერ შრომელ კაცს და მასთან ერთად ვეძებ ჩვენ ვმალავთ აღელვებას. ნუთუ შეიძლებოდა ამ სიმდიდრის ხელის ერთი მოსმით განადგურება?

მოვინახულეთ ვეტერანი კოლმეურნის კასიანე მდინარაძის ოჯახის მიერ მოწყობილი თევზის სატბორეც. ისიც მიწასთან არის გასწორებული. ავი დღე დაადგა იმ სატბორესაც, რომელსაც მ. გურგენაძე უვლიდა. თევზის მთელი რაოდენობა კი ისე წაუღიათ, ერთი ცალიც არ დაუტოვებიათ მომგლელებისათვის. კასიანეს ოჯახი კარდაკარ დაეძებს სამართალს — ნუთუ თევზის მოვლა-პატრონობისათვის არავითარი გასამრჯელო არ ეკუთვნით? მით ამ შემთხვევაში უცნაურია ლენინგრუთის რაიონული გაზეთის „კომუნისტური შრომის“ პოზიციაც. მის ფურცლებზე დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, „დამთმობი პოზიცია“. გაზეთი, რომ იტყვიან, არც მწვადს წვავს და არც შამფურს, შესავალში კი რიხიანად აღნიშნავს:

„თევზის მოსაშენებელი ტბორების მოწყობა შრომისუნნის კოლმეურნეობის წევრებს კასიანე ასობით ლიფსიტის დაღუპვა მოჰყვა, რაც დანაშაულია სოფლისა და ხალხის წინაშე, რატომ არ შეიძლებოდა ლიფსიტების მდინარეში ან ზღვაში გაშვება, რომ სხვისთვის მოსახმარი ყოფილიყო“ (ტექსტი დაცულია).

რატომ „სხვისთვის“ უნდა იყოს „მოსახმარი“ მდინარაძეთა ალალი შრომით გამოზრდილი თევზები, და არა მისი პატრონისათვის?!

როგორც წერილიდან ჩანს, გაზეთს სურს ამ სტატიით „ებრძოლოს“ უშრომელი შემოსავლის მიღებით დაინტერესებულ ადამიანებს, მაგრამ წერილი ღარიბია ფაქტებით. იმ „ვიღაცასაც“ უმალავს მკითხველებს, რომლის უსამართლო გასაკარგულებას შედეგად მოჰყვა დიდძალი თევზის განადგურება.

გაოცებას იწვევს შემდეგი გარემოებაც: თევზის განადგურებიდან კარგა ხანი გავიდა, ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის და მისი იდგილმბრივი სამსახურის მუშაკები კი ამ ფაქტით არც კი დაინტერესებულან.

შრომის უბანში მომხდარი უსიამოვნო ფაქტი ალბათ სათანადო ორგანოების მსჯელობის საგანი გახდება და ყველას საკადრისად მიეზღება, მაგრამ რა ეშველება იმას, რაც განადგურდა? განა ასე უნდა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა?

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲨᲕᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲡᲘᲛᲬᲠᲗᲘᲡᲚᲔᲡ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚ დიდოსტატ აკიბა რუბინშტეინს უყვარდა ხუმრობით თქმა: „მომაკვდავს შეუძლია ყველაფერი ჰამოს“. ახლა მატჩზე საერთოდ არა ჩანს „მომაკვდავი“, ამიტომ, გასაგებია, მეტოქეები ძალიან ფრთხილობენ. ახლა ისეთი დრო დადგა, რომ ერთ-ერთი მხარის პირველივე გამარჯვება ორთაბრძოლის საბოლოო ბედს გადაწყვეტს. განსაკუთრებით დიდი როლი მიენიჭა დებიუტის შერჩევას. და ეს უპირატესად შავებზე ითქმის. აქამ